სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
გაზეთ „ცნობის ფურცელზე“
ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ვინც ამ თვეთვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

## ქართული თეატრი

კვირას, 13 დეკემბერს
ქართულ დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქნება

# რევიზორი

კომედია 5 მოქმ. თხზ. ნ. გოგოლისა. თარგ. ა. ციცინაძისა.

მოქმედნი პირნი:

ანტონ ანტონის სკვოზნიკ—დმუხანოვსკი, გოროდნიჩი . . . ბ. აბაშიძე.
ანნა ანდრეევნა, ამისი ცოლი . . . . . . . . . ქ. ჩერქეზიშვილისა.
მარია ანტონოვნა, ამათი ქალი . . . . . . . . . ქ. კარგარეთელისა.
ლუკა ლუკის ხლოპოვი . . . . . . . . . ბ. ხოსროევი.
ამოს თეოდორის ლიაპკინ-ტიაპკინ . . . . . ბ. კანდელაკი.
არტემ ფილიპის ზემლიანიკა . . . (ჩინოვნიკები) ბ. იმედაშვილი.
ივან კუზმის შპეკინ . . . . . . . . . ბ. სვიმონიძე.
პიოტრ ივან იხდობჩინკო . . . . . . . . . ბ. გედევანოვი.
პიოტრ ივანის ხლესტაკოვი . . . . . . . . . ბ. ადამიძე.
ივან ალექსანდრის ხლესტაკოვი . . . . . . . . . ბ. შათირიშვილი.
ოსიპ, ამისი მოსამსახურე . . . . . . . . . ბ. მესხი.
ხრისტიან ივანის გიბნერ, ექიმი . . . . . . . . . ბ. სალარიძე.
სტეფან ივანის უხოვერტოვი პრისტავი . . . . . . . . . ბ. დიასამიძე.
სვისტუნოვი } (პოლიციელები) . . . . . . . . . ბ. ქარსიძე.
დერჟიმორდა . . . . . . . . . ბ. თირელი.
აბდულინი, ვაჭარი . . . . . . . . . ბ. იმერიძე.
ზიანკლის ცოლი . . . . . . . . . ქ. გალუსტოვისა.
მიშკა, გოროდნიმის მსახური . . . . . . . . . ქ. გარელი
ტრაქტირის მოსამსახურე . . . . . . . . . ბ. სავანელი

**ადგილების ფასი დაკლებულია**

**დასაწყისი სწორედ 8 საათზე**

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა.

## შპალერების საწყობი
# ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

**ფასი ყველაფერზე იაფია**

შპალერი თვითო ნაჭერი **8** კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწორობი სამკაულები.

**Депо обоевъ**
# I. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 88)

ხელოსანთა ამხანაგობა **„შრომა“**

ქარხანამ მოიწვია გამოჩენილი ოსტატი, მეჩუქურთმე და კანკელის მკეთებელი, ა. აფ. ბატანოვი; მოიწვია აგრეთვე კარგი მცოდნე მებელის გადაკვრისა გ. ჯაფარიძე. ამიტომ „შრომა“ იღებს შეკვეთას და პირობას სდებს, რომ ძალიან კარგად შეასრულებს საქმეებს: სადურგლოს, საჩუქურთმოს, სახარატოს, კანკელისა და ძვირფას კარებების გაკეთებას, მებელის გადაკვრას, ფარდების გაკეთებას და ოთახების მორთვას, ლეიბების გაკეთებას და სხვა.

ამ ჟამად ქარხანასთან მებელის საწყობიც არის გამართული, სადაც იყიდება:

1. დიდი და მშვენიერი აბანოზის ბუფეტის შკაფი . 160 მ.
2. ქორაფის შკაფი ტანისამოსისა . . . . . 120 „
3. ლეიბები ზღვის ბალახისა . . . . . 5 „
4. წიგნის შკაფები . . . . . . . 30—35 მ.
5. შიფანერკა . . . . . . . 80 მ.

პირის-საბანები, პატარა შკაფები, სადილისა და საწერი მაგიდები.
(100—57)

სამკურნალო და ამბულატორია
# ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
# ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (Ꮥ.)

# ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

შდლისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკლესიის პირდაპირ.

Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки.
(100—64)

გაბრიელ ეპისკოპოსის
## სადარბაზო
# სურათი

ტუშით დახატული, ერთის ალაბის სიმაღლე და სიგანე, მშვენი-

ერ ხავერდის ჩარჩოში ჩასმული, იყიდება „ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრ. საზოგადოებაში“. ფასი 35 მან. (5—4)

**კბილის ექიმი**
ალექსანდრე სოლოღაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
მიხეილის ქუჩა № 32
(30—23)

# ახალი ამბავი

*** „რევიზორი“ ქართულ სცენაზედ. დღეს ქართული დრამატიული დასის არტისტები თამაშობენ რუსეთის გამოჩენილი მწერლის ნ. გოგოლის განთქმულს პიესას „რევიზორს“. მთავარ როლებს ასრულებენ ბ-ნი ვ. აბაშიძე, კ. მესხი. ე. ჩერქეზიშვილის და სხვანი.

*** უმაღლესი შემოწირულება. მათმა იმპერატორებით უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა კავკასიიდან წაბრძანების დროს შესწირა 2000 მანეთი დასარიგებლათ იმ პირთათვის, რომლებმაც დახმარება სთხოვეს—მათ იმპერატორებით უდიდებულესობას. შეწირული ფული და თხოვნები გენერალ-მაიორმა თავ. ვ. ა. ბარიათინსკიმ კავკასიის უმთავრეს ადმინისტრაციას გარდასცა დასარიგებლად.

*** ქუთაისის გუბერნატორის ჩამოსვლა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ მაიორი ვერშელმანი პეტერბურგიდგან ქ. ტფილისში ჩამოვიდა და აქედგან ქ. ქუთაისს გაემგზავრება.

*** სკოლა-თავ-შეს ფარა ქუთაისში. ქუთაისის სასაფლაოს ეკლესიის სამრევლო მზრუნველობას განუძრახავს გახსნან სკოლა-თავშესაფარი. და ამავე ეკლესიის ცარიელ ალაგზე სადაც მიღებულ იქმნებიან ღარიბი ხალხის შვილები. აქ მოწაფეთ უფასოდ ექმნებათ როგორც თავშესაფარი აგრეთვე სასმელ საჭმელი.

*** ოლქის სასამართლოს სესიის გამგზავრება. დღეს, 13 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სისხლის სამართლის განყოფილების სესია ქ. დუშეთისკენ გაემგზავრა. სასამართლოს წევრნი: თავმჯდომარეს, სასამართლოს წევრი ვ. ვ. ბოლდარევი. წევრები: ი. ლ. პარჩევსკი ვ. ფ. პალდოვო, ბრალმდებელი ი. ლ. ლომროლსკი. სესია 19 დეკემბერს დაასრულებს საქმეებს და ტფილისშივე დაბრუნდება.

*** ქუთაისში სახელმწიფო პლანტაციის დაარსება. მიწათ მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა ამ მოკლე ხანებში დააარსოს ქუთაისის გუბერნიაში სამაგალითო სახელმწიფო თამბაქოს პლანტაციები.

*** სომხეთა კათალიკოსი მთავარ მართებელისას. 11 დეკემბერს სომხეთა კათალიკოსი მკრტიჩ 1 სადარბაზოდ იყო კავკასიის მთავარმართებელ თავ. გ. ს. გოლიცინთან. კათალიკოსს თან ახლდნენ ეპარქიის უფროსი მთავარ-ეპისკოპოსი სურენიანი, საპატრიარქო ვიკარი ყარსის ოლქისა ელიშე მურადიანი, მისი უწმიდესობის მდივანი არქიმანდრიტი ბორიუნ საакიანი და მღვდელი ტერ-ავანესიანი და ზარტეგინაცი. დარბაზობამ გასტანა ერთ საათამდე. თარჯიმანობდა უფროსი ცენზორი დ. ხს. ა. ქიშმიშევი. მთავარ მართებელმა გამომშვიდობების დროს დაჰპატიჟა მისი უწმიდესობა სადილზე შაბათისათვის.

*** არჩევნები ბათუმში. ქალაქის მოურავის, გამგეობის წევრის ბ. ლო. ვოლსკის მაგივრად რომელსაც მორიგეობის ვადა გაუდის და ქალაქის მდივნის არჩევნები, მოხდება, როგორც ისმის. მომავალ წლის დამდეგს, ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ. ქალაქის მოურავის კანდიდატად. გარდა ბ. ასათიანისა, ასახელებენ აგრეთვე ბ.ბ. რაშეტს, ბახმეტევს, ვოზნესენსკის (ბათომის პოლიცმეისტერად ნამყოფს) და სხ...

*** სინოდის შეწირულობა. უწმ. სინოდი თხოულობს ნახევარ მილიონ მანეთს ქალაქისა და ასი-ათას მანეთს სასულიერო სასწავლებლების შესაწირად.

*** მეტივეთა და ქალაქის გამგეობის საქმე. მკითხველებს ეხსომებათ, თუ რა ჭირი გამოიარეს ჩვენებურმა მეტივეებმა ქალაქის კულტროსანთა საბჭოს და გამგეობის ხელში. ეხლა ეს საქმე როგორც იქმნა დაბოლოვდა უმაღლესი მთავრობის ბრძანებით. 11 დეკემბერს, ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი, რომელიც მოსვლია გუბერნატორს ქალაქის გამგეობის თხოვნაზე შესახებ იმისა, რომ ნება მოგვეცით კვლავ გარდასახადი გამოვართვათ მეტივეებს ქალაქში ჩამოტანილ ტივებზეო.

პასუხში ნათქვამია, ეს გარდასახადი დაწესებული 1858 წელს, როდესაც ქალაქს ძლიერ ცოტა შემოსავალი ჰქონდა. ხოლო ეხლა ქალაქის შემოსავალი 1,200.000 მანათამდე ავიდა და ტივებზე გარდასახადი სამძიმო იქმნება ხალხისათვისაო.

ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრო სრულიად ეთანხმება კავკასიის მთავარ-მართებელს გენ.—ად. თავ. გოლიცინს და სამოქალაქო დებულების 135 მუხლის 5 პუნქტის თანხმად ზემოხსენებული გარდასახადი გაუქმებულ უნდა იქმნეს.

*** კომისიამ, რომელსაც ხორცისა და პურის ნიხრის დაწესების საქმე აქვს მინდობილი დაადგინა: კამეჩის ხორცის ნიხრი 5 კაპეიკი დააწესოს, ამასთან დაავალოს ყასბებს, რომ კამეჩის ხორცი სხვა ხორცთან ერთად არ შეინახონ, იმისთვის ცალკე ადგილი იქონიონ და ლურჯი დამღაც დაასვან. ამას გარდა კომისიამ დაადგინა მოუმატოს ძროხის ხორცის ნიხრს $1/2$ კაპ. ე. ი. 7 კაპ. გაჰხადოს.

*** **სიღნაღი.** მაზანდა სურსათზე. მთლად ქიზიყში ამინდები კარგი სდგას. სამში მშვენიერი წვიმა მოვიდა, რომელიც გლეხების სიტყვით, ძალიან საჭირო იყო მოსავლისათვის. სოფლებში პურის ფასმა აიწია კოდი 3 მ.—20 კ.—4 მანეთამდინ ადის. სიღნაღში ფუთი პური 1—60 კაპ. ავიდა. წელს, როგორც ხმა დადის, პური ძალიან დაძვირდება. შეშამაც აიწია ფასში, საჟენი 30 მან. ფასობს. ეს ფასი შეშისა სიღნაღში საკვირველია. ხმა დადის იანვრიდგან სახელმწიფო ტყეები უნდა გახსნანო, თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, შეშის ფასი ერთბაშათ დაიწევს. ღვინო წელს ქალაქშიაც და სოფლადაც. ბევრნი მემამულები სჩივიან, არ იყიდებაო. სამეურნეო ბანკის დირექტორი მიქელაძე მოვიდა და სოფლები დაიარა, მაგრამ ბევრს იმისი პირობები არ მოსწონთ.

**ლანჩხუთი.** (ქვემო იმერეთი) სკოლის საქმე. შკოლის გახსნა საზოგადოთ ჯერ ყველგან სასიხარულო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ერთი ორად სასიხარულოა სკოლის დაარსება სოფ. ლანჩხუთში, მეტადრე ისეთ მიყრუებულ სოფელში ისიც ინტელიგენტოში როგორც არის სოფ. ლანჩხუთი. ამ სოფელში სულ 300 კომლი გლეხკაცობაა და იმათ შორის შეგნებული კაცის ადგილი თითო ოროლა მედუქნე იქნებოდა. შორშან ზაფხულზე ადგილობრივის მღვდელის მეცადინეობით და ნივთიერი დახმარებით აქ გახსნა სამრევლო სკოლა, რომელიც მამა ნ. გალდავას აქვს საკუთარ სახლში მოთავსებული და თვითონაც ასწავლის. თუმც მასწავლებელი არის ერთი, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს ბავშვების სიმრავლის გამო. ლანჩხუთში წერა-კითხვის საქმე ერთი ათად წინ იქნებოდა, რომ სხვა მამანიც ხშირათ მოიგონებდნენ ხოლმე მაცხოვრის სიტყვებს: ვისაც მეტი მიეცა მისგანვე მეტი მოითხოვება.

ივ. მი—ძე.

## წმ. დიდი მოწამე ქეთევან, კახეთის დედოფალი *)

(საისტორიო ცნობა)

«მოწყალულმან სურვილითა საღმრთოითა წყლულებანი მრავალნი თავს იხვენ და ტანჯვათა ფერადობანი ახოვნად დაითმინენ, ვინაცა წარმავალისა დედოფლობისა წილ სუფევაჲ ზეცისა დაიმკვიდრე, სამგზის სანატრელო ქეთევან, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის».

(ოხითა დიდი მოწამის ქეთევანისა).

წმ. ქეთევანი წამებულ იქმნა 13 ენკენისთვეს 1624 წ. ლათინთა ბერებმა წმ. ქეთევანის სხეულის ნახევარი თავითურთ მეფე თეიმურაზს მიართვეს, რომელმაც ეს წმ. ნაწილები დიდის პატივით და დღესასწაულობით დაჰფლა ალავერდის წმ. გიორგის ტაძარში ტრაპეზის ქვეშე. საქართველოს ეკლესიამ ჩარიცხა წმ. ქეთევანი წმიდათა რიცხვში და უწოდა მას „დიდი მოწამე“. მან წმ. ქეთევანის სახელის პატივსაცემლად დღესასწაული დააწესა 13 ენკენისთვეს. დანარჩენი ნაწილები კი წმ. ქეთევანისა, როგორც იტყვიან, ლათინთა ბერებმა წაიღეს და პაპის მიართვეს, რომელმაც ეს წმ. ნაწილები დაჰკრძალა რომში დიდის პატივით... დიდად აფასებს საქართველოს ეკკლესია ღვაწლს წმ. დიდისა მოწამისა ქეთევანისას, რომელიც იწვალა ქრისტესთვის ქრისტიანობისთვის ძლიერ საშიშს დროს და თვის მოწამებრივ სიკვდილით გაამხნევა იმედ-მიხდილი ქართველობა, აჩვენა მას ცოცხალი მაგალითი სარწმუნოების მიმართ ერთგულებისა. ამის გამო სასულიერო მწერალი ნიკოლოოზ ტფილელი სამართლიანად უწოდებს მას: „ქართველთა მტკიცე მზედ“. საეკკლესიო ახითა (ტროპარი) უწოდებს მას „სამგზის სანატრელს“ (მეტის მეტად სანატრელს)... მან,—ნათქვამია მის შესამკობლად შედგენილ კონდაკში, საქმითა აჩვენა წმინდა მარიამ

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 702.

ღვთის-მშობლის ნათესაობა,—ვინაიდან წმ. ქეთევანი, როგორც აგრატოვანი, იმ დავითის ტომის ქომავალი იყო (ბაგრატოვანი), ომლის ჩამომავალი იყო დედა ვთისა. წმ. ქეთევანი მოწყლულ იქმნა (წამებულ იქმნა) სადიდებლად ღვთის-მშობლისა და დღეს შემკული გვირგვინითა, იღვწის ჩვენ ცოდვილთათვის... ჭეშმარიტად, რომ საქართველოს ეკლეის წმიდათა მეოხებით, მათი შეუდგომლობით დედა-მიწის ზურიდან არ გაჰქრა მრავალ-წამებუი ქართველი ერის სახსენებელი... სისხლზე, მათ წმიდა ნაწიებზე დამყარებული იყო საქართველოს მართლ-მადიდებლობითი კკლესია, რომლის სიდიადეს და იქველეს განცვიფრებაში მოჰყავს თითეული კეთილშობილი მკვლევარი ქრისტიანობის ისტორიის... საქართველოს ეკლესიის წმიდათა დიდებულ ღვაწლის ჩრდილუდგომელი შუქი დღესაცკი დანათის თავზე ქართველ ხალხსა, რომლის ამაყეს, რომლის წმიდა-წმიდათას ბა შეადგენდეს ხსენება მის ზნე... სარწმუნოების აღსაყვალად თავდადებულ და დაკლულ ღვაწლისა... მათი ცხოვრების თვალისწინება, მათი ცხოვრების ცნობა ძლიერ გვეჭირვება დღეს, როდესაც მართლ-მადიდებელ საქართველოს ცას ქვეშ ფეხს იკიებს გულ-გრილობა სარწმუნოების მიმართ, როდესაც ჩვენში ასე ცხადად გაურბიან ეკლესიას და მის გარეშე ეძიებენ ცხოვრებას და ზნეობის განვითარებას... საქართველოს ერი, ოდესმე ცნობილი რწმუნოების მიმართ თავ-განწირლ ერთგულებით და მის სადიებლად გადახდილ საგმირო საქებით, დღეს ისე უცქერის წმ. კკლესიას, თითქოს ის მისი დედის ნაცვალი იყოს და არა სულიერი მშობელი და აღმზრდელი დედა... ვცდებით, ძმანო, ვცდებით! დროშა მართლ-მადიდებლობისა ისეთსავე სიამაყეს უნდა შეადგენდეს დღეს ჩვენთვის, როგორ იამაყესაც შეადგენდა ჩვენი სახელოვანი და უკვდავი მამა პაპების, უკეთუ გვსურს ჭეშმარიი ბედნიერება, უკეთუ გვსურს ენი თავისთვის სიკეთე... მაშ ულმხურვალედ შევთხოვოთ წმიასა დიდსა მოწამეს ქეთევანს, კახა დედოფალსა, რომელიც დღეს წმიდათა სავანეში იღვწის ჩვენ ცოდილთათვის, რათა მან თვისი უხვი ადლი არ მოგვაკლოს და ევედოს ქრისტესა ღმერთსა, რათა კლავ აღსდგეს, გაძლიერდეს და აღყვავდეს ჩვენს გულში სარწმუიბის დღეს შესუსტებული დიული გრძნობა. ამინ

ილ. ფერაძე

# თეატრის მატიანე

## ქართული თეატრი

«რას ვეძებდი და რა ვპოვე», 3 მოქმედებიანი კომედია კნ. ბარბარე ჯორჯაძისა. ბენეფისი ელ. ჩერქეზიშვილისა.

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, ქ. ელ. ჩერქეზიშვილის ბენეფისზედ დამსწრე საზოგადოებამ სიამოვნებით გაატარა საღამო. მიზეზი ამისა იყო ორი გარემოება. ერთი, რომ თამაშობდნენ ამ საღამოს ნამდვილს ქართულს პიესას, ჩვენის ცხოვრებიდგან ამოღებულს, კარგის ქართულით და მეორეც ისა, რომ „მონაწილეობას იღებდნენ პიესაში ქ. ჩერქეზიშვილისა და ვ. აბაშიძე.

ავტორი პიესისა კნ. ბარბარე ჯორჯაძისა შესანიშნავი ქალია ჩვენს მწერლობაში. შესანიშნავი იმით კი არა, ვითომც მის პიესას ტოლი ან ბადალი არ მოეპოვებოდეს ჩვენს თანამედროვე მწერლობაში: არა, იგი შესანიშნავია ისტორიულად. ბ. ჯორჯაძისა გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ იმ დროს, როდესაც ჩვენი ახალი მწერლობა და მწიგნობრობა ფეხს იდგამდა, სამოციან წლებში და უფროც ადრე. მას შემდეგ, ჩვენი ლიტერატურა გაიზარდა, ჰასაკში მოვიდა, ამიტომ უსამართლოება იქნება, წარვუდგინოთ ავტორს დღევანდელნი მოთხოვნილებანი. „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ ჩინებულ პიესად უნდა ჩათვლილიყო სამოციან წლებში, იგი არაფრით ჩამოურჩება მაშინდელ გამოჩენილ კომედიებსა და დრამებს თ. გ. ერისთვისა და ანტონოვისას: იგივე დაცინვა თავადიშვილის დაუდევარ ცხოვრებისა და სიღარიბისა, იგივე მოტყუებით მახინჯის, გარნა შეძლებულის ქალის შერთვა, და ცინვა სომხურ კილოზედ ქართულის ლაპარაკისა... და სხვა.

გ. ერისთავმა თავის კომედიებით შეჰქმნა სკოლა დრამატიულ მწერლობისა. აი ამ სკოლის მოწაფეა კნ. ბარბარე ჯორჯაძისაც. ცხოვრება მას შემდეგ ბევრად შეიცვალა და მაშინდელი ტიპები უფროს ერთს შემთხვევაში ისტორიას ჩაჰბარდნენ.

თავ. იულიონი, მებატონე სიმართლით ვერ არის დახატული ვერც მაშინდელ დროისთვის. ის უფრო ჰგავს ყაჩაღს, ვიდრე დარბაისელ კახელ თავადიშვილს სამოციან წლებისას. ის ყოვლად უსაბუთოდ იჭერს შუადღისას შუა სოფელში, საქვეყნოდ ქალაქელ სირაჯს და ეუბნება: ჩქარა ფულები მამე, თორემ გაგრომზგამო. გაგონილა?!

შესახებ არტისტთა თამაშისა კარგს ვერას ვიტყვით. გლეხის როლი ვერც ერთმა ვერ შეასრულა რიგიანად. რაწამს ჩვენი არტისტები გლეხის ტანისამოსს ჩაიცმენ, სულ მთლად გადირევიან ხოლმე. ხმა ხრინწიანი, ჩოხა დაგლეჯილი უეჭველად ათასგან, ყვირის ისე, რომ მთელ ტფილისს ესმის მისი ხმა, დარბის ისე სცენაზე, თითქოს ციკანიაო. განა ასეთია ქართველი გლეხი?

მეგახლავარ

# სამკურნალო ცნობა

შავი ჭირი (ჟამი). თუმცა ორივე ექიმების წამლობა, როგორათაც სიავკინისა, აგრეთვე იერსენისა უებარი საშუალებანი არიან შავი ჭირის წინააღმდეგ, მაგრამ როგორც გამოცდილებამ დაარწმუნა მკურნალები ინდოეთსა და ჩინეთში, ორი კვირის აცრის შემდეგ, თავის ძალას სრულიად ჰკარგავენ და ხელ-ახლად აცრა საჭიროება ადამიანს. ამიტომაც აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, რომ ყველა შავი ჭირით ავადმყოფი ყოველს წამს, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდეს. იერსენის წამლით აცრა მიკროორგანიზმებს დიდის სისწრაფით ხოცავს, ხოლო აქაც საჭიროა ექიმი, რომელმაც იმ ზომით უნდა შეუშვას სხეულში, რამდენსაც სნეული აიტანს. მარტო წამლის შეშხაპუნება საკმარისი არ არის სნეულების მოსასპობად, არამედ საჭიროა დიდის სიფრთხილით და სიფაქიზით დაცულნი იყვნენ სანიტარული მხარენი. ავადმყოფთა ოთახში უნდა იყოს 12,5° და ან 18° რეომირის სითბოს საზომავით სითბო. ოთახში არ უნდა იყოს არავითარი მეტი ავეჯეულობა და განსაკუთრებით რბილი სავარძლები და სხვა რამ ამგვარი, ყველა შიგ მოთავსებული საგნები უნდა იყოს სუფთა და მტვერ-გაცლილი. შავი ჭირით ავადმყოფმა დღე-ღამეში ხუთჯერ ან ექვსჯერ უნდა მიიღოს საჭმელი და ყოველ შემთხვევაში ძალიან სუბუქათ, რომ კუჭი არ გაემსოს და არ შეაწუხოს. არც ძალიან უნდა დაუცარიელდეს კუჭი, რადგანაც შეიძლება მშიერმა მერე იხარბოს და რის გამოც ბევრი მაგალითი ყოფილა უცებ სიკვდილისა, ავადმყოფისთვის ყოველ ჟამს მზათ უნდა იქონიოს ექიმა ხორცისა და ქათმის წვენი. ნადუღი ცხელი ან ცივი რძეც კარგია, თუ ავადმყოფს პირსაქმობა არა აქვს.

სასმელად ავადმყოფისთვის კარგია ნადუღი სუფთა წყალი ლიმონით და ღვინით, ჩაი ცხელი ან ცივი; ესეც დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზე თუ ავადმყოფს კუჭი როგორ აქვს, საჭმელი უნდა მიეცეს ავადმყოფს ცოტ-ცოტა, რომ კუჭი არ გაემსოს. არასოდეს არ შეიძლება, რომ ავადმყოფი ლოგინიდან ადგეს მოსაწყლიანებლათ, რადგანაც მრავალი მაგალითი მოხდა, რამწამს ავადმყოფი ფეხზე ადგა იმ წუთს ქვეშაგებში მკვდარი დაეცა. ავადმყოფს არ უნდა მოშორდეს მეთვალყურე არც დღე და არც ღამე, რადგანაც სიცხეში საშინელი რეტვა და ბოდვა იციან და რასაც ლაპარაკობენ აღსრულებაში მოჰყავთ: წამოცვივიან ზეზე და უგრძნობლად იწყებენ ტანტალს. ზოგი ავადმყოფები უცებ სუსტდებიან, მოსდით, პირსაქმობა და თუ პატრონი არა ჰყავთ შეიძლება თავის პირნასაქმში შიგ დაიხრჩოს, რადგანაც თავი აღარ აქვთ გადაბრუნებ-გადმობრუნებისა. მეთვალყურენი ყოველ ოთხ საათში ერთხელ უნდა იცვალონ, რომ გამოცვლილმა რიგიანათ დაისვენოს და თვითონაც სამკურნალო წამლები მიიღოს ჭირის წინააღმდეგ. მუდამ ხელთ უნდა ჰქონდეს მეთვალყურეს ცხელი და ცივი წყალი, ყინული და მოუშორებლივ საკმარისი მოსამსახურენი.

ივ. კავთელი.

# სამეცნიერო ცნობა

## მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

ვაშლი. (ქართული, იმერულ-გურული) ვაშქური (მეგრული) ხნძურ (სომხური) ალმა (თათრული) ფატკუ (ოსური) მეჰი (ჩერქეზული) იჸ, ხენემ, ეშ, (ლეკური) იაბლონია (რუსული) მალუს კომმუნის (ლათინური) ექვსასამდისინ (600) სხვა-და სხვა ჯურისა, რომლებიც ერჩევიან ერთი ერთმანეთს ნაყოფის გემოთი, ფერითა, სიმსხოთი, დრო დამწიფებითი, გამძლეობითი, ფოთლების ფერით, აგებულებითი, ყლორტების ფერით აგებულებითი და ხის აგებულებითი. მას არ ეშინიან არც სიცხისა და არც სიცივისა, გვარობს ყველა ნიადაგზედ, მაგრამ უყვარს ცოტათი ნოტიო ნიადაგი. ეს მცენარე ისე ღრმათ ფესვებს არ იდგამს მიწაში, როგორც მსხალი, აგრეთვე იზრდება უფრო სიგანეზე ვიდრე სიმაღლეზე, ამისათვის ვაშლის ხეები ქარისაგან ისე არ ზარალდებიან, როგორც მსხლის ხეები. ყვავის ვარდის ფრათ თიბათვეში, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი, როგორც გამძლე ხე მის მასალას მეურნობაში აქვს დიდი მოთხოვნილება. ცოცხლობს ას წლამდის, ნაყოფს იძლევა მერვე წელიწადს მყნობის შემდეგ. მის ნაყოფით ამზადებენ: მურაბას, ჟელეს, ღვინოს, ძმარს, ხდიან არაყს და და სხვა-და-სხვა სასმელებს, გარდა ამისა ახმობენ ჩირათ, ამ უკანასკნელს დიდი გასავალი აქვს როგორც ჩვენს საქართველოში, ისე რუსეთში და საზღვარ გარეთ ქვეყნებშიაც.

მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით, ოღონდ

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 696.

ნამყენებით გაზაფხულობით და ზაფხულობით.

თეთრი თუთა. (ქართული) ბუღლა (იმერული, გურული, მეგრული) თუთ (სომხური) თუთ (თათრული) ამჯვა (აფხაზური) თუთაბალას (ოსური) თუთ (ლეკური) შელკოვიცა ბელაია (რუსული) მორუს ალბა (ლათინური) ამ მცენარეს სამშობლო არის ჩინეთი, მაგრამ როგორც სასარგებლო ხე, ეხლა მოჰყავთ თითქმის მთელ დედამიწის ზურგზედ, გარდა ცივ ადგილებისა, რადგანაც ამ მცენარეს არ უყვარს დიდი სიცივეები. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზედ, უყვარს ქარისაგან მოფარებული ადგილი და ხმელი ნიადაგი, ნოტიო ნიადაგს ვერ იტანს. რამდენიმე ჯურისა: მაგალითად: თეთრი, შავი და ჭრელა, მათში ყველაზედ გამოსადეგი არის თეთრი თუთა, რადგანაც მის ფოთლებით ჰკვებავენ აბრეშუმის ჭიას *) ნაყოფით კიდევ ჰხდიან არაყს, ამზადებენ თათარას და ბადაგს. მწიფე ნაყოფიც მშვენიერი საჭმელია, გამოცდილებიდამ სჩანს, რომ დილდილობით უზმოზედ მწიფე თუთა საშინლად რგებს ადამიანის სხეულს და კიდევაც ასუქებსო, როგორც გამძლე ხე, მის მასალას დიდი მოთხოვნილება აქვს მეურნობაში. ხე ცოცხლობს სამას წლამდისინ. მრავლდება თესლით, პატარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით, ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომობით, ოღონდ ნამყენებით-კი გაზაფხულობით და ზაფხულობით, მაგრამ მსხვილ და გემრიელ ნაყოფის მიღებისთვის, ყოველთვის უნდა ამყნოთ.

არჩილ დარეჯანაშვილი

*) აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებათ ითვლება რგვალი გარეშემო კუწუბიანი ფოთლები, და არა ამოჭრილი (Разрѣзанные).

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

— მართ! ამბობენ, რომ შენი გაგდებული ქმარი, ბედნიერია, მას შემდეგ, რაც ის ხელმეორედ თავისუფალი გახდა!..

— არაფერია, იმას კარგათ გადავუხდი! მე ხელმეორედ დავიწერ მასზე ჯვარს!

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 დეკემბერი

**პეტერბურგი.** „რუსკი ინვალიდი“ იუწყება, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება მიექცია ყურადღება სამხედრო სამსახურის მოხელეთათვის ჯამაგირის მიმატებით იმ ზომამდე, რამდენიც საჭირო არის ცხოვრების ეხლანდელ პირობათამიხედვით. ამ საქმის განხილვა ჩაჰბარდა საგანგებო კომისიას რომელსაც შეადგენენ მეცხრე ქვეითა ჯარის კორპუსის უფროსის თავმჯდომარეობით, გენერალ ლეიტენანტი ლიუბოვიცკი, 22 წარმომადგენელი ჯარისა და სამხედრო სამინისტროს ზოგიერთ მთავარ-მმართველობათა, კომისიამ გულდასმით განიხილა ეს საგანი და იმ აზრს დაადგა, რომ სულ მცირე ჯამაგირი ოფიცერისა უნდა იყვეს 660 მანათი წელიწადში, გარდა სახლის ქირის ფულისა და ეს ჯამაგირი უნდა დაენიშნოს პოდპორუჩიკს. დანარჩენ ოფიცერებს მიემატოსთ ჯამაგირი მიხედვით ჩინის მომატებისა. კომისიამ შეადგინა შემდეგი პროექტი ჯამაგირის მომატებისა უნცროსის ჩინის ოფიცრებისათვის. უნცროსს ოფიცრებს, ჩინის მიხედვით მიემატებათ 38%-დგან 61%-მდე. როტის კამანდირს, კაპიტანს 22%-დგან; ბატალიონის კამანდირს, პოდპოლკოვნიკს—26% ჯამაგირისა, გარეშე სახლის ქირის ფულისა; თანაბრად ამისა განზრახულია მოემატოს ჯამაგირი უფროსებს, გარეშე სახლის ქირის ფულისა ამ რიგად: პოლკის კამანდირს—5% ბრიგადის კამანდირს—31%, დივიზიის უფროსს—14%, კორპუსის კამანდირს—11%. ამ რიგად უმეტესად ემატება დაბალ ხარისხის აფიცრებს. ყოველწლიური ხარჯი ჯამაგირების მოსამატებლად განსაზღვრულია 11 მილიონ მანათამდე. ამ თანხიდგან მოსამატებლად ჯამაგირისა მაღალ ხარისხოვანთათვის, განცალკევებულ ნაწილთა კამანდირებთაგან დაწყებული და უფრო მაღლა, გადადებულ იქმნა მხოლოდ 630,000 მანათამდე წელიწადში, 6%-ით ნაკლებ; დანარჩენი თანხა მოხმარდება ნივთიერად უფრო ნაკლებ უზრუნველ ყოფილს დაბალ ხარისხის აფცრებს. კამისიის პროექტის სისრულეში მოყვანა შეიძლება მხოლოდ 1899 წლის ნახევარში.

**პარიზი.** საკასაციო პალატამ გადასწყვიტა დიპუის ჩვენება ჩამოართვას. დადგენილ იქმნება დეკრეტი, რომლის ძალითაც დიპუის ნებართვა მიეცემა.

**ვაშინგტონი.** ბლისსის მაგიერად შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულ იქმნა გიჩკოვი, პეტერბურგში ელჩად ნამყოფი.

**სტამბოლი.** 9 დეკემბერს დიდმა მთავარმა კიდევ ერთხელ ინახულა დიდი ბაზარი, დაათვალიერა სტამბოლის სიძველენი და ფოსვორის სასახლე. სულთანმა უფეშქაშა დიდს მთავარს მშვენიერი არაბული ტაიჭი. დღეს მთავართან იყო მსოფლიო პატრიარქი. მისმა უმაღლესობამ დაათვალიერა ქალაქი, ანახა რუსეთის საარქეოლოგიო ინსტიტუტი, სამკურნალო, სკოლა პანკალედში და ბაზარი სტამბოლში. სადღესასწაულო სადილი ილდიზ კიოსკში გამართულ იქმნა 60 კაცისათვის. დიდი მთავარი ბრძანდებოდა სულთანის მარჯვენა მხარეს, ელჩი მარცხენა მხარეს. 10 დეკემბერს დიდი მთავარი, ელჩით ზინოვიევითა და ელჩის წევრებთან ერთად სულთანს გამოეთხოვა. სასახლიდგან დიდი მთივარი გააცილა ნავთ სადგურამდე შინაგან საქმეთა მინისტრმა სულთანის ამალით. დიდი მთავარი გემით „პრუტ“ დილის $10\frac{1}{2}$ საათზე ოდესისაკენ წაბძანდა. ზინოვიევმა დიდი მთავარი კავაკამდე მიაცილა.


# ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული ყვავილიანი გირვანქა 5 მან., გირვანქა 2 მან. 50 კაპ. ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ე[illegible]რემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სა[illegible]რის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლ[illegible] წერილები ეფედრის კარგს თვისებ[illegible] და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Гр[illegible] Горія Ефимовича **Ефремова**, Бузулукъ, Самарской губерн[illegible]

(30—26)

1899 г. Годъ третій 1899 г.

Открыта подписка на 1899 г. на

# Новый Журналъ Иностр. Литератур[illegible]

## ИСКУССТВА и НАУКИ.

**Первое въ Россіи**

общедоступное иллюстрированное ежемѣсячное изданіе.

(Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ ежемѣсячниковъ)

| 12 книгъ—4 большихъ тома. Болѣе 1,500 иллюстрацій на лучшей бумагѣ. | **1899** | На годъ 4 р Съ доставкой и перес. 5 р. На ½ года 2 р. 50 к. Съ дост. и перес. 3 р. |
|---|---|---|

«Новый Журналъ Иностранной Литературы» поставилъ себѣ задачей въ возможно большемъ кругу русской читающей публики пробуждать и поддерживать интересъ къ тому, что можетъ доставлять интеллектуальное удовольствіе своей поучительностью и занимательностью въ области литературы, искусства и различныхъ отраслей знанія. Почерпая изъ такого богатаго источника только новое и выдающееся, оригинальное и характерное, «Новый Журналъ Иностранной Литературы» старается давать ясное и точное понятіе о результатахъ умственной дѣятельности и общественной жизни за границей, о томъ [illegible] міровой культуры, ея идей и стремленій, который долженъ быть предметомъ любознательности и вниманія для всѣхъ мыслящихъ и интеллигентныхъ людей.

съ этою цѣлью „Новый Журналъ Иностранной Литературы“ печатаетъ:

1) Избранныя сочиненія знаменитыхъ писателей и наилучшія изъ произведеній новѣйшей беллетристики.

2) Статьи, этюды и очерки о всевозможныхъ сюжетахъ, такъ или иначе касающихся современности или представляющихъ общій интересъ въ отношеніи литературномъ, художественномъ и научномъ. Большинство этихъ статей—вовсе не переводы, а излагаются примѣнительно къ потребностямъ русскаго читателя.

3) Всѣ статьи, по своему содержанію допускающія иллюстрированіе, сопровождаются **многочисленными художественно исполненными рисунками и автотипическими репродукціями.**

Всѣ болѣе или менѣе крупныя произведенія печатаются съ особой нумераціей страницъ и могутъ быть сохраняемы отдѣльными томами.

Помимо статей съ иллюстраціями современнаго интереса и занимательнаго содержанія, литературныхъ, научныхъ и художественныхъ, иллюстрированной заграничной хроники (на современныя темы; изъ прошлаго; литературныя, художественныя и научныя новости; изъ артистическаго міра; изъ иностранной журналистики и мелочи), въ 1899 г. съ январской книги будутъ печататься:

**Юмористическіе разсказы Уэльса**

(автора романа «Борьба міровъ», напечатаннаго въ „**Новомъ Журналѣ Иностранной Литературы** 1898 г.)

Неизданныя произведенія ДИККЕНСА.

Цвѣты, плоды и шипы или брачная жизнь, смерть и свадьба адвоката бѣдныхъ Зибенкейза.

Романъ **Жана Поля Рихтера**. (12—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Декабря 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბუხნისა), რედაქტორ-გამომცემელი ვ. [illegible]